№ 67 კვირა, 15 ნოემბერი 1909 წ.

# მომავალი

№ 67 კვირა, 15 ნოემბერი 1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. **1 ნოემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 1 მ. 60 კ. თფილისს გარეთ 1მან. 80 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

**Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.**

## პოლიტიკური ეკონომია
### ა ბოგდანოვი

**(„მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა).**

თფილისელ ხელის მომწერ დაურიგდებათ ხვალიდან (16 ნოემბერი). ვსთხოვთ აგენტებს წიგნები ჩაიბარონ. მაგდალინა იმნაძის, კრაწაშვილისა და კ—ლას გაყიდული კვიტანციები ვისაც აქვს წიგნებს მიიღებენ წიგნის მაღაზია „ალიონში“. პროვინციებშიაც საჩქაროთ გაეგზავნებათ წიგნები აგენტებს და ხელის მომწერლებს ამ წიგნის შესახებ ყოველივე მიწერ-მოწერა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით.

**тифлисъ, кирочная ул. № 9 Василію Гадилія.**

გამგე გამომც. „ალიონი“-ს ვ. გადილია.

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ვ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ძიძიძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10.

**სობოლევსკი ბ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სნებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—37)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—37)

წარმოდგენა 16. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 16.

**კვირას,** 15 **ნოემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა პ. ალექსიშვილის (პ. გოთუასი) განმათავისუფლებელ მოძრ. საქართველოში

### პარტიის კაცი?!

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ი. გრიშაშვილი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილ-ხაშმელი, მგალობლიშვილი, კ. მესხი, ი. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, შ. საფაროვი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 5 მ.-დე, პარტერი 2 მ. 60 კ. 60 კ.-დე, გალერეა 40 კ-დან 20 კ-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, „გიორგი მე-III“, „ქოჩრიანი ტოროლა“.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## მკერვალი ქალი

ვღებულობ საკერავებს: ქალებისა და ბავშვების ტანისამოსს, აგრეთვე ყოველ ნაირ თეთრეულებს.

**ადრესი:** კირპიჩნი პერეულოკი, № 2.

სამშაბათს, 17 ნოემბერს

### დიმიტრი სილიბისტროს ძე ჩხაიძის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ს. აცანაში, რასაც აუწყებენ გარდაცვალებულის დედ-მამა, ძმები და და, ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს. (2—2)

## გლეხი-კაცის ისტორია

**მიიღება ხელის მოწერა გლეხი-კაცის ისტორია-ზე**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით, მათი ბიოგრაფიული ცნობებით და ივ. გომართელის წინასიტყვაობით.

**შინაარსი წიგნისა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ **გამოვა დაახლოვებით** 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ღირება მხოლოდ **ერთი მანათი.**

**ხელის-მოწერა დაიწყება ამა 1909 წლის 15** ნოემბრიდან და გაგრძელდება 1-ლ **იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ** დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და **ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით.** დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც **ხელის-მომწერი იქნება.**

**ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა** უნდა, ეცადოს ზემოხსენებულ ვადის განმავლობაში **(15 ნოემბრიდან 1-ლ** იანვრამდე) მოაწერონ ხელი ჩვენს აგენტებთან, ვინაიდან ეს **წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ხელის-მოსაწერი ერთი მანათის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ათი შაური ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. ერთი წიგნისთვის. იმ ადგილებიდან, სადაც საფოსტო განყოფილება არ არის, ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნა საგანგებო წერილით. (зак. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ. აგენტების ვინაობას ახლო მომავალში ცალკე ფურცლებით ვაცნობებთ ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტების და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია.

არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპიროსებს:

**„Дружба“ И „Товарищъ“** 20 ცალი 5 კაპეიკი

ყოველ დღე იყიდება **200,000** ცალი.

იყიდება ყველგან.

**თამბაქოს ქარხანა** ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებით.

10—2

### თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხ. ანტონ ეიხენვალდის გამგეობით დღეს ორი წარმოდგენა: დილით დაკლებულ ფასებში 20 კაპეიკიდან **„ევგენი ონეგინ“** საღამოს **„კორნევილის ზარები“** მონაწილეობენ ქ-ნნი: არდი, ვოლსკაია, ზასლავსკაია, კალინინა, როსტოვსკაია. ფერრარი, ბ-ნნი: ბარსოვი, გალეცკი, გუკასოვი, დემიანენკო, ევლახოვი, ობრუბოვი, პევცოვი, სოკოლსკი, ტირაციანი. დილას დაიწყება 12 საათზე, საღამოს 8 საათზე. ფასები ჩვეულებრივია. ხვალ ხელმისაწდომ ფასებში 20 კ.-დან **«ტრავიატა».** სამშაბათს, 17 ნოემბერს მეორეჯერ **«ნერონი».** მზადდება წარმოსადგენათ პირველათ თფილისში **„ტაისი“.**

### ჭიათურაში

გაიხსნა რკინის გზის შკაფი, რომელსაც განაგებს

**ისიდორე შილაკაძე.**

იქვე იყიდება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები, მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „მომავალ“-ზე და სხვადასხვა განცხადებები „მომავალ“-ში დასაბეჭდათ. (10—9)

### გამოცდილი მასწავლებელი.

ამზადებს და წვრთნის მოწაფეებს ყველა სასწავლებლებისათვის.

იკითხეთ „მომავალის“ რედაქციაში, რუსის ქუჩა № 3. (0—28)

კბილის ექიმი
**რომანიშვილი—დვეზუამისა.**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

**29 ნოემბერს 1909 წ**

გამოვა ქართულ ენაზე იუმორისტული და ლიტერატურული ალმანახი

### „დიპლიპიტო“

კარიკატურებით და სურათებით, ალმანახი დაბეჭდილი იქნება ფერადის სურათებით. ღირება ყველგან ორ შაურათ.

საჭიროა პროვინციიდან სანდო კორესპონდენტები, მასალის გამოგზავნა შეიძლება ახლავე შემდეგის ადრესით: Тифлисъ, ред. „Закавказье“ Э. Д. Горделадзе. მასალა, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული ფასი, ჩაითვლება უფასოდ.

**კვირას, 15 ნოემბერს** თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში (ფრეილენის ქუჩა) დანიშნულია სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის

### არაჩვეულებრივი კრება.

კრების განსახილველი საგნებია: წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა, გამგეობის წევრების დამატებითი არჩევნები, ახალი წევრების მიღება, წრის მოქმედება.

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

### ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

## თფილისი, 15 ნოემბერი.

ვინც რუსეთის თანამედროვე ცხოვრებას თვალყურს ადევნებს, მას არ შეუძლია ერთი რამ მაინც არ შენიშნოს, სახელდობრ ის, რომ მთელი რუსეთი დღეს თითქოს უკანონო მოქმ. ასპარეზათ გადაიქცა. თავისთავათ ცხადია, ჩვენ აქ სახეში არ გვაქვს ის კანონები, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს ძირითად კანონებათ ითვლება და რომლითაც ყოველი ფეხის გადადგმაც კი სასტიკათ განსაზღვრულია. სახალხო მოძრაობის ხანას ბიუროკრატია ანარქიის ხანას უწოდებდა და ეს იმიტომ, რომ სახალხო მოძრაობის დროს ხალხი ჩვეულებრივ კანონებს ზურგს აქცევს და თავის მიზნის შესაფერ დაუწერელ კანონებს ქმნის და იმისდა მიხედვით მოქმედობს. და თუ ეს ასეა, მაშინ დღევანდელი რეაქციის ხანაც იგივე და გაცილებით მეტი ანარქიული ხანაა, ვინემ პირველი. დღეს ზოგიერთ დაწესებულებაში სრული თვითნებობაა გამეფებული. მათში კანონმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა. ბიუროკრატია რომ ერთი ხელით კანონს სცემს, მეორეთი მას სპობს, დაწერილს მოქმედებით აქარწყლებს. ის დღეს სახ. დუმას უფლებას აძლევს ამა თუ იმ საკითხს განხილვისას, შემდეგ გონს მოდის და იმავე დუმას სასტიკათ უკრძალავს: არ გაბედო და ამ საკითხზე კრინტი არ დასძრაო. დუმაში შეაქვთ განსახილველათ ესა თუ ის კანონ-პროექტი, რომლითაც, რასაკვირველია, თავის შეხედულობას ხატავს რომელიმე კითხვის შესახებ, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ის აზრს იცვლის და კანონ-პროექტი უკანვე მიაქვს—უნდა შევასწოროვო.

საქვეყნოთ აცხადებენ: სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის არჩევის დროს ადესაში სასტიკი კანონიერება იქნება დაცულიო და ამავე დროს გენერალ ტოლმაჩევს განუსაზღვრელი უფლებები აქვს, რაც ყოველგვარ კანონიერებას სრულიად სპობს. ამ რიგათ, ბიუროკრატია თვითონ სცემს კანონებს და თვითონვე პირველი აბათილებს. ტოლმაჩევებს, დუმბაძეებს, რეინბორტებს და მის გვართა კანონი მინისტ. გაშვერილი საჩვენებელი თითი გონიათ, ადამიანის პიროვნება მათთვის ისე-

თივე გაუგებარი ცნობაა, როგორც გოტე ნტოტისათვის ნიუტონის მსოფლიო მიმზიდველობის კანონი. როდესაც თვალ-წინ ასეთი საზოგადო სურათი გვიდგას, ჩვენთვის ადვილი ასახსნელი ხდება ის წვრილი და ურიცხვი ფაქტები უკანონობისა, რომლითაც ასე მდიდარია ამ ჟამათ რუსეთის ცხოვრება. განა ადესის თვითმართველობის ხმოსნების შუამდგომლობა რომ ებრაელებს უფლება წაერთვათ დუმის არჩევნებში მონაწილეობის მიღების არა ჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს? სრულებითაც არა! ხმოსნების მიერ უმაღლესი მთავრობის კომპეტენციაში ჩარევა, ტოლმაჩევის მიერ უნივერსიტეტის შინაურ ცხოვრებაში ჩარევა, დუმბაძის მიერ გენერალ ბეკმანისადმი გაგზავნილი შენიშვნა და სხვა ამ გვარი ჩვეულებრივ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს დღევანდელ ცხოვრებაში. ცხადია, ასეთ მდგომარეობას ნიადაგი ექნება მანამდის, სანამ ხალხი თვითონ არ შეიგნებს თავის უფლების დაფასებას და პატივით არ მოეპყრობა მას. საჭიროა ფხიზელი პოლიტიკური შეგნება ყოველივე იმისი, რაც ჩვენს გარშემო ხდება.

## სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან)

**მეჩვიდმეტე სხდომა.**

**13 ნოემბერი**

მეჩვიდმეტე სხდომაზე განაგრძეს ადგილობრივ სასამართლოების რეფორმათა შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. როგორც წინა სხდომებზე, ისე ახლაც ორატორები უმთავრესათ ეხებიან იმ საკითხს —საჭიროა თუ არა სავოლოსტო სასამართლოს შენახვა, თუ მომრიგებელ ინსტიტუტის დაარსება. სავოლოსტო სასამართლოს შენახვის მომხრე არიან უმთავრესათ მემარჯვენეები. გულკინს უკვირს —რატომ არიან ზოგიერთი ორატორები არა-ქრისტიან მოსამართლეების არჩევის მომხრენი. ეფრემოვი მეორე ლაპარაკობს სტანიცის სასამართლოებზე და ამტკიცებს მათ უვარგისობას. ის თხოულობს სტანიცის სასამართლოები მომრიგებელ სასამართლოებით იქნას შეცვლილი. იანუშკევიჩი თხოულობს სავოლოსტო სასამართლოები გმინის ტიპის სასამართლოებით შეიცვალოს. ხვოშჩინსკი თხოულობს ახალ სასამართლოში მცხოვრებთა ყველა ნაწილის წარმომადგენელი მოხვდეს. ბაზილევიჩი ქონებრივი ცენზის წინაამდეგ ლაპარაკობს. მღვდელი გოპეცკი მომხრეა სასამართლოების რეფორმის, მხოლოდ იმ პირობით, რომ სასამართლოში პარტიის ხალხი არ გავიდეს, რისთვისაც საჭიროა დუმა ყურადღებით მოექცეს ამ საკითხს. ნისელევიჩი აღშფოთებულია— რატომ ამხედრდენ ზოგიერთი ორატორები ებრაელების წინააღმდეგ, რათა ისინი არ გავიდენ მოსამართლეებათ. ნისელევიჩი ამტკიცებს, რომ 1864 წლიდან რუსეთში ერთი ებრაელი არ ყოფილა მომრიგებელ მოსამართლეთ. დასასრულ ლაპარაკობს მომხსენებელი შუბინსკი. ის ამტკიცებს, რომ კოლეგიალური სასამართლო უვარგისია. შემდეგ ის პასუხს აძლევს ზოგიერთ ორატორებს. შემდეგ კითხულობენ დუმის 30 წევრის მიერ ხელმოწერილ განცხადებას, რომ კანონ-პროექტი გადაეცეს კომისიას ხელახლა შესამუშავებლათ. ბერეზოვსკი მემარჯვენეთა სახელით აცხადებს, რომ ფრაქცია წინააღმდეგია შეუდგენ კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას. ძიუბინსკი შრომის ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ ჯგუფი მომხრეა მუხლობრივ განხილვის. კენჭის ყრით მიღებულ იქნა, რათა შეუდგენ მუხლობრივ განხილვას. დუმამ მიიღო აგრეთვე ფორმულა გავრცელებულ იქნას სასამართლოს რეფორმა ციმბირის და არხანგელის გუბერნიებზედაც.

**პიროვნების ხელ-შეუხებლობა.**

სხდომა იხსნება 4 საათსა და 49 წუთზე. განსახილველი საკითხი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანონ-პროექტი პიროვნების ხელ-შეუხებლობის შესახებ. მომხსენებელი ზამისლოვსკი აღნიშნავს, რომ ძირითადი პიროვნების ხელ-შეუხებლობის შესახებ მოთავსებულია ძირითად კანონებში, მაგრამ კერძო სტატიები ამ კითხვის შესახებ გაბნეულია სხვა და სხვა კანონთა კრებულში და თან დაძველებულია. ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული კანონის გამოცემა. ამის შესახებ ყველანი თანახმა არიან, მაგრამ პროექტი კი ბევრს უვარგისათ მიაჩნია. ზამისლოვსკი აბათილებს ამ შეხედულებას და დაწვრილებით ახასიათებს კანონ-პროექტს.

**მაკლაკოვი** იმ აზრისაა, რომ პიროვნების ხელ-შეუხებლობის კანონი 17 ოქტომბრის მანიფესტის განხორციელებაა, რომელმაც პიროვნებას ნამდვილი ხელ-შეუხებლობა აღუთქვა. ორატორი მოითხოვს, რომ კანონი ეხებოდეს პოლიტიკურებსაც, ვინაიდან 17 ოქტ. მანიფესტი შედეგი იყო პოლიტიკური მოძრაობის.

**გეგეჭკორის** აზრით რუსეთის დამახასიათებელ თვისებათ ითვლება პიროვნების უფლების ფეხ-ქვეშ გათელვა. იმ დროს, როდესაც ერთი მუჭა გაბატონებული კლასი ფართოთ სარგებლობს არა თუ პიროვნების ხელ-შეუხებლობით, არამედ ისეთი კანონიერებით, რომელსაც არავითარი „ჰაბეას კორპუსი“ არ მოგვანიჭებს, სახელმწიფოს დანარჩენი მცხოვრებნი მოკლებულნი არიან ყოველგვარ ელემენტარულ ადამიანურ უფლებას და მოქალაქობრივ თავისუფლებას. ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს, არასოდეს არ გვხიბლავდა კონსტიტუციონალური ილიუზიები და ახლა ოთხი წლის დიდებული აღთქმის შემდეგ კონსტიტუციის მომხრეები ჩვენთან ერთათ დგაიან გატეხილ ვარცხლთან (корыто) და ამტკიცებენ, რომ ჩვენ არავითარი თავისუფლება აღარ გვაქვს. საკმარისია აღვნიშნოთ ის, თუ ვის წინააღმდეგაა მიმართული რეპრესიების სიმკაცრე, რომ მთავრობის პოლიტიკის სარჩული ჩვენთვის აშკარა შეიქნეს. განა კრების თავისუფლებით არ სარგებლობს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი“, ეს მუწუკი თანამედროვე საზოგადოებრიობისა, ეს ყოველ მხრივ მავნებელი ორგანიზაცია? (მარჯვნით ძლიერი ხმაურობა).

**თავმჯდომარე.** დუმის წევრო გეგეჭკორო! თუ დუმის მემარჯვენე დეპუტატებს არ შეუძლიათ უნდგილო შენიშვნებზე თავი შეიკავონ, თქვენ მაინც აუარეთ გვერდი ზოგიერთ სიტყვებს.

**გეგეჭკორი** განაგრძობს: მემარჯვენეთათვის პოლიტიკური თავისუფლების განხორციელება მათ აუცილებელ პოლიტიკურ სიკვდილს მოასწავებს. ზომიერი მემარჯვენენი, რომელთაც მკაცრ-მემარჯვენეთა სახელი უფრო შეფერისთ, უფლებრივი წესწყობილების მომხრენ არიან მხოლოდ სიტყვით, ნამდვილათ კი, ნელნელი ჩრჩით ისინი შეუზღუდველი თვითმპყრობელობის დამცველთ უერთდებიან. ოქტომბრისტებიც არ არიან უკეთესი. ისინი კონსტიტუციონალისტებს ეძახიან თავის თავს, მაგრამ ნამდვილათ კი მთავრობის ანტი-კონსტიტუციონურ პოლიტიკას მხარს უჭერენ. იმ დროს, როცა არც მთავრობა, არც სასამართლო არავითარ გარანტიას არ იძლევა პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ,—თქვენი კანონ-პროექტი ნამდვილი დაცინვაა პიროვნების ხელშეუხებლობაზე. ამ პროექტით თქვენ ათავებთ მოქალაქობრივ ყველა უფლებათა დასაფლავებას. ამ დასაფლავებაში არა თუ ჩვენ, ცოტათ თუ ბევრათ პატიოსანი ლიბერალები და დემოკრატები არ მიიღებენ მონაწილეობას. პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება ისეთ ინსტიტუტს ეკუთვნის, რომელსაც ნებით არ იძლევიან ვაბატონებული კლასები, არამედ—თავის თავათ იძენს ხალხი— და ჩვენც პიროვნების ხელშეუხებლობას მოგვიტანს რუსეთის დიდებული მეორე რევოლიუცია. (მარცხნით ტაშისცემა). შემდეგ ლაპარაკობს შულგინი. ის აცხადებს, რომ მემარჯვენეები თანახმანი არიან კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვის, მხოლოდ შეტანილ იქნეს შესწორებები პოლიციის და დამსჯელ სისტემის რეფორმის შესახებ. სოკოლოვი მეორე პროგრესისტების სახელით აცხადებს, რომ გადაეცეს კანონპროექტი ახლათ შემდგარ კომისიას ხელახლა განსახილველათ. თავადი ტენიშევი მხარს უჭერს დაუყოვნებლივ შეუდგენ მუხლობრივ განხილვას. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 16 ნოემბერს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 ნოემბერი.

**ოსმალეთი.**

**სტამბოლი.** ბულგარეთის ელჩმა ინახულა საგარეო საქმეთა მინისტრი და განუცხადა, რომ ბულგარეთი ძვირათ აფასებს ოსმალეთთან მეგობრულ დამოკიდებულებას და სწუხს, რომ გალინოვის და პაპრიკოვის სიტყვებმა წინააღმდეგი გავლენა მოახდინა. მინისტრთა საბჭო დაკმაყოფილდა ამ განცხადებით.

**საზღვარ-გარეთ**

**პარიზი.** დეპუტატთა პალატამ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს მიიღო საიდუმლო ფონდის შესახებ მუხლი. კენჭის ყრის დროს ბრიანმა კითხვა დასვა ნდობის შესახებ. პალატამ 364 ხმით, წინააღმდეგ 125 ხმისა ნდობა გამოუცხადა. ხარჯთ-აღრიცხვის ყველა მუხლები მიიღეს.

**პარიზი.** გავასს ათინიდან ატყობინებენ, რომ კაბინეტის მდგომარეობა კრიტიკულია. სამხედრო ლიგა კატეგორიულათ მოითხოვს რადიკალური ცვლილების მოხდენას და ზოგიერთ მოხელეთა გადაყენებას.

**ბრიუსელი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი სამხედრო სამსახურის ვადის შემცირების შესახებ. ქვეითი ჯარისკაცი მსახურობს 15 თვეს, ცხენოსანი—2 წლამდე.

**რუსეთი**

**პეტერბურგი.** ოპოზიციამ კანონ-პროექტი შეიტანა, რომ ქალებს უფლება მიეცეთ დამცველებათ გამოვიდენ სასამართლოში.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა ქალებს დამცველებათ გამოვიდენ სასამართლოებში. ეს საკითხი სენატის შეხედულობით საკანონმდებლო წესით უნდა იქნას გადაწყვეტილი. ამიტომ სენატმა უარყო საოლქო სასამართლოს მეთერთმეტე განყოფილების დადგენილება, რომელმაც ფლეიშიცის ქალს ნება დართო დამცველათ გამოსულიყო.

**პეტერბურგი.** დაიხურა მრეწველობა-ვაჭრობის წარმომადგენელთა სიეზდი.

## უკანასკნელი ფოსტა

**ოსმალეთი**

**ექს-სულთანის სასახლე.** სტამბოლის გაზეთების სიტყვით ალატინის ვილის კედლების აგება უკვე დაუსრულებიათ. ექს-სულთანის რეზიდენცია დღეიდან სრულიად მოწყვეტილი იქნება გარეშე გავლენისაგან.

**რუსეთი.**

**დუმის გარშემო.** გუჩკოვმა არ მიიღო გრ. უვაროვის წინადადება, რომ მათ შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება სამედიატორო სასამართლოს წესით გადაწყვეტილიყო. დუელი აუცილებელია. დეპუტატები აღშფოთებულნი არიან საქმის ასეთი მიმართულებით.

— დუმის კომისიამ, რომელიც გადასახადების საკითხს იხილავს, დაადგინა შემოსავლის დაგვარათ გაწერილი გადასახადები მღვდლებსაც გადახდეთ, რომელნიც ამ ჟამათ განთავისუფლებულნი არიან ამგვარი გადასახადისაგან.

— სახელმწიფო დუმის პრეზიდიუმმა ჯარიმა აპატივა იმ დეპუტატებს, რომელნიც დუმის სხდომებს არ ესწრებოდენ. დეპუტატები სხდომებზე ყოფილან, მაგრამ უწყებაზე ხელი არ ქონიათ მოწერილი.

— დუმის შეკითხვების კომისიამ უარყო გრ. უვაროვის მიერ შეტანილი შეკითხვა, რომელიც სარატოვის ეპისკოპოსის გერმოგენის მოქმედებას შეეხებოდა. კომისიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ სასულიერო რეგლამენტის და კართაგენის კრების დადგენილების ძალით სასულიერო პირთა კოლეგიას ექვემდებარება, ე. ი. რუსეთში—უწმინდეს სინოდს.

— სახალხო განათლების კომისიამ დაადგინა, რომ მასწავლებელთა საბჭოების თავმჯდომარეებათ პირველ-დაწყებით შკოლებში სამღვთო სჯულის მასწავლებელნი უნდა იყონო.

— საბიუჯეტო კომისიამ უარყო ვაჭ-

## ვარდი და ბულბული.

(ოსკარ უაილდისა.)

— „ჩემი ტურფა დამპირდა, რომ ის ჩემთან იცეკვებს თუ მას წითელ ვარდს მივუტან“, „მაგრამ ჩემდა საუბედუროთ, არც ჩემს ბაღში და არც სხვაგან წითელი ვარდი არ იშოვება“—წამოიძახა ახალგაზრდა სტუდენტმა. ბულბული, რომელიც მუხის ტოტზე ჩამომჯდარიყო ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს და გაკვირვებული შესცქეროდა ახალგაზრდა სტუდენტს.

„არც ერთი კოკორი წითელი ვარდისა“!—სასოწარკვეთილებით წამოიძახა ისევ სტუდენტმა და მისი მშვენიერი მაყვალივით შავი თვალები აეცრემლა.

— „ოხ! ღმერთო ჩემო, რა უბრალო რამეს შეუძლია გააბედნიეროს კაცი! მე ბევრი მეცნიერული წიგნები წამიკითხავს და შემისწავლია თითქმის ყველა საიდუმლოება ფილოსოფიისა და მაინც კიდევ უბედური ვარ და ჩემი სიცოცხლე მოშხამულია იმიტომ, რომ წითელი ვარდი არა მაქვს.

— „აი სად ყოფილა ნამდვილი და მტკიცე სიყვარული. “წარმოსთქვა ბულბულმა,—მე ყოველ ღამე ამ ყმაწვილს ვუგალობდი და არც ერთხელ არ მენახა ის. ყოველ ღამე ვუამბობდი მე მის ამბავს მთას, ბარს და ვარსკვლავებს, ეხლა კი ის ჩემს წინ დგას. თმა მისი შავია ვით გიშერი, ტუჩები ვარდის მსგავსი, რომელზედაც ის ეხლა ოცნებობს, მაგრამ მჭმუნვარებას და დარდს მის სახეზე უკვე დაუსვამს წაუშლელი ბეჭედი, გაფითრებულა ვით თაფლის სანთელი.

— ხვალ პრინცს წვეულება აქვს ჩემი ტურფაც მანდ იქნება. ამოოხვრით წარმოსთქვა კვლავ სტუდენტმა. თუ მივუტან მას წითელ ვარდს, მაშინ ის დილამდის ჩემთან იცეკვებს. თავის მშვენიერ თავს ჩემს მხრებზე დამადებს, ბროლის მსგავს თითებს მაგრათ მოუჭერს ჩემს ხელებს, მაგრამ ვაი რომ ყველა ეს ოცნებაა. მე არ მაქვს წითელი ვარდი, ამიტომ მე იქ განმარტოვებით უნდა ვისხდე და ის კი ამ დროს ჩემს ვვერდით გაივლის და მე ვერც-კი შემნიშვავს. ოხ! გასქდი გულო!

„აი ჭეშმარიტათ, ეს არის ნამდვილი სიყვარული“ ჩაილაპარაკა ბულბულმა. საბრალო ყმაწვილს სტანჯავს ის, რაც უზომო სიყვარულს ფენს ჩემს გულს, რასაც მე დღეს მუდამ ვუგალობს. დიახ, სიყვარული სწორეთ სანეტარო რამ არის, ის ყოველ გვარ ძვირფას თვალ-მარგალიტზე უძვირფასესია, მისი არც ყიდვა შეიძლება და არც გაყიდვა“.

— „მუსიკის დამკვრელები ესტრადაზე ისხდებიან და სიმებს ააჟღარუნებენ,—იმ დროს, ისიც იქ იქნება და გამოვა სათამაშოთ; აი ის კიდეც ცეკვავს და ისე მოხდენილათ, ისე თავისუფლათ, რომ თითქოს ფრინავსო, მისი პატარა ფეხები ოდნავ ეხბიან იატაკს. მას ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი პრინცები და თავადები თავს დასტრიალებენ. ვაიმე! ის ჩემთან არ ითამაშებს, არ ითამაშებს მარტო იმიტომ, რომ მე არ ძალმიძს მიუძღვნა მას წითელი ვარდი“. ამ სიტყვების შემდეგ ყმაწვილი დაემხო პირქვე და მწარე ქვითინი წასქდა.

რატომ სტირის ეს ყმაწვილი? ჩაილაპარაკა მწვანე ფერის ხვლიკმა, რომელიც ქაბუკის მახლობლათ გასრიალდა.

— ნეტა რათ სტირის? გაიმეორა ცელქმა პეპელამ, რომელიც მოუსვენრათ მისდევდა მზის სხივებს.

— „ის სტირის წითელი ვარდისთვის“ მიუგო ბულბულმა.

— „რა სისულელეა, ღმერთმანი, წითელი ვარდისთვის ტირილი“ და ყველას გაეცინა.

ყველაზე უფრო ხმა მაღლა და შხამიანათ პატარა ხვლიკი იცინოდა. ყმაწვილის მწუხარებას მარტო ბულბული გრძნობდა და მხოლოთ ის თანაუგრძნობდა. ის იჯდა დაღონებული მუხის ტოტზე, რომელზედაც ბუდე ჰქონდა გაკეთებული და სიყვარულის საიდუმლოებაზე ჰფიქრობდა. უეცრათ გაშალა მან მისი პაწია ფრთები, მსწრაფლ გაინავარდა ხის ფოთლებ შორის და გაჰქრა სადღაც. მალე იპოვა მან მშვენიერი ვარდის ბუჩქნარი და დაეშვა მის ტოტზე. „ჩემო კარგო, ჩემო სულიკ! მომეცი მე წითელი ვარდი“. დაჰკვნესა თავისებური ტკბილი ხმით ბულბულმა ბუჩქნარს და სამაგიეროთ მე ჩემს საუკეთესო სიმღერებს შენ გიგალობ, შენ გაქებ.“ ბუჩქნარმა უიმედოთ თავი გააქნია და მიუგო: „სამწუხაროთ, ჩემი ვარდი თეთრია ვით ქაფი ზღვისა და თოვლი მთისა. წადი ჩემს ძმასთან, შეიძლება იმას ჰქონდეს რასაც შენ თხოულობ“.

ბულბული მსწრაფლ გაფრინდა და მიადგა მეორე ბუჩქნარს: „მომეცი მე წითელი ვარდი და მე გიმღერ შენ ჩემს საუკეთესო სიმღერებს“.—მანაც უიმედოთ გააქნია თავი და მიუგო: „ჩემი ვარდები ყვითელია ვით მალალური ანუ ნარგიზი მინდვრისა,—წადი ჩემს ძმასთან, ის იმყოფება ყმაწვილის ფანჯრის წინ, შეიძლება იმან გიშველოს და აგისრულოს თხოვნა“. ბულბული გაფრინდა დანიშნულ ადგილისაკენ. „მომეცი მე წითელი ვარდი ჩემო მშვენებავ, ჩემო იმედო და მე დაგიტკბობ შენ სმენას ჩემი საუკეთესო სიმღერებით“. ბუჩქნარმა გადააქნია თავი და მიუგო: „მართალია, ჩემი ვარდები წითელია ვით ლალი, გინდ ვაშლი თურაშაული, მაგრამ საუბედუროთ, წრევანდელმა სუსხიანმა ზამთარმა ჩემი სიცოცხლე გაანახევრა, უზომო ყინვებმა სული ამომართვეს, ჩემი კოკობი დააჭკნეს, რის გამო ეხლა არ ძალმიძს ყვავილის გამოღება“.—„ერთათ ერთი ვარდი“, წამოიძახა სასოწარკვეთილებით ბულბულმა, ერთი წითელი ვარდი! ოხ! ღმერთო ჩემო! ნუ თუ არავითარი საშველება არ მოიპოვება ქვეყნათ წითელი ვარდის საშოვნელათ!?“—„არის ერთი საშვალება მიუგო ბუჩქნარმა, მაგრამ ის მეტათ ძნელია, ისეთი ძნელი, ისეთი, რომ მე ვერც-კი გაგიბედავ მის თქმას“. მითხარი, გეთაყვა, შესძახა ბულბულმა, მე არაფრის არ მეშინია, ყველაფერს ვძლევ —მაშ კარგი, მიუგო ბუჩქნარმა: თუ გინდა შენ წითელი ვარდი, მაშინ ის შენი ტკბილი გალობით უნდა შექმნა და შეღებო შენი პაწია გულის სისხლით: მთვარის სინათლეზე მთელს ღამეს შენ მარტო ჩემთვის უნდა იგალობო და იმ გალობის დროს შენი გულ-მკერდით მაგრათ უნდა ჩაეკონო ჩემს წვეტიან ეკლებს და იმღერო მინამ, სანამ ჩემი ეკლის წვეტები არ მიაღწევენ შენს გულამდის და არ განგმირავენ მას, საიდანაც შენი უმანკო სისხლი წვეთ-წვეთობით გადმოინთხევა და ამ სახით სიცოცხლე შენი ჩემსა სიცოცხლეს შეუერთდება.— „სიცოცხლე ყველასათვის ძვირფასია, სთქვა ბულბულმა და მისი დათმობა მეტათ დიდი საფასურია წითელი ვარდის გულისათვის“. რა კარგია მხიარულათ ყოფნა და სიმღერა ამწვანებულ ტყეში და დილის დიდებული მზის სხივების ჭვრეტა—ხოლო ღამით კი მომჯადოვებელი გაბადრული მთვარის ცქერა.—რა სულის და გულის დამატკბობელი რამ არის ტყე-მინდვრებიდან მონაბერი ათას ნაირ ყვავილების კეთილ სურნელება, მაგრამ სიყვარული მაინც სიცოცხლეზედაც უძვირფასესია, და ან კი რა უნდა იყოს პატარა ჩიტის გული ადამიანის გულთან შედარებით“. ბულბულმა გაისწორა პაწია წაბლის ფერი ფრთები და გაფრინდა.

ყმაწვილი ჯერ კიდევ მწვანე ბალახზე იწვა და მდუღარე ცრემლები მის მშვენიერ თვალებს ჯერ კიდევ არ შეშრობოდა.—„გიხაროდეს, გიხაროდეს! შესძახა ბულბულმა ყმაწვილს, შენ მიიღებ წითელ ვარდს, მე შევქმნი მას მთვარის შუქზე ჩემი საკუთარის გალობით და შევღებავ ჩემის გულის სისხლით. სამაგიეროთ კი, შენ გთხოვ მუდამ ერთგული დარჩე შენის სიყვარულისა. სიყვარული ფილოსოფიაზე მაღლა დგას და ყველაფერზე ძლიერია, მისნი ბაგენი თაფზე უტკბესია და სულთქმა მისი ყოველ გვარ კეთილ სურნელებაზედ უფრო საამოა“.

ყმაწვილმა აიღო მაღლა თავი და სმენათ გადიქცა, მაგრამ იმას მაინც ბულბულის არაფერი ესმოდა. არ ესმოდა იმიტომ, რომ ბულბული წიგნი არ იყო. მუხას კი, რომელზედაც ბულბული იჯდა, ყველაფერი კარგათ ესმოდა და მწუხარება იხატებოდა მის გულში. იმას მეტათ უყვარდა პაწია ჩიტი, რომელიც მას შეფარებოდა და ატკბობდა გალობით.

— „ერთიც კიდევ უკანასკნელათ იმღერე ჩემო ძვირფასო ჩიტუნიავ ჩაუჩურჩულეს მუხის ფოთლებმა ბულბულს, ჩვენ მარტოთ მარტო დავრჩებით, როცა შენ მიგვატოვებ.

ბულბული აგალობდა, მისი მშვენიერი ხმა არაკრაკდა ვით წყარო მთისა. დაჰკვნესა და დაჰკვნესა ათას ნაირ კილოზე და დაუშრეტელი სიამოვნება მოჰფინა არემარეს.—ამ დროს ყმაწვილმა ამოიღო უბის წიგნი და ყარანდაში. „ამ ჩიტუნას რომ ტალანტი აქვს, ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ ნეტა თუ მას გრძნობიერებაც აქვს?—ამბობდა ყმაწვილი,—მე მგონია, რომ არ უნდა ჰქონდეს და ვეჭვობ, რომ მას შეეძლოს მსხვერპლათ შეწირვა თავისა. მაგის საქმე მარტო სტვენა და გალობაა და მართალი კი უნდა სთქვას კა-

რობის სამინისტროს წინადადება სამინისტროს შენობისათვის ნახევარი მილიონი მანეთის გადადების შესახებ.

**სად არის გილევიჩი?** პეტერბურგის საიდუმლო პოლიციას ცნობა მიუღია, რომ ინჟენერი გილევიჩი, რომელსაც ლეშტუკოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა ბრალდება, ამ ჟამათ ჩერნოგორიაში იმყოფება. ამ ცნობის მიღებისთანავე პეტერბურგის მაძებარი პოლიციის უფროსი ფილიპოვი ჩერნოგორიაში წავიდა.

**არეულობამ გასჭრა.** როგორც ჩვენ გაზეთში უკვე გვქონდა აღნიშნული, რუსეთის ბევრ სასულიერო სემინარიებში მოწაფეებმა არეულობა მოახდინეს. არეულობის მიზეზი, რასაკვირველია, ის აუტანელი რეჟიმია, რომელიც სემინარიებში არის გამეფებული. ამის გამო სინოდს განკარგულება მოუხდენია შემსუბუქებულ იქნას სემინარიებში არსებული რეჟიმი, გაუმჯობესდეს მოწაფეების საჭმელი, ნება მიეცეთ მოწაფეებს კვირა-უქმე დღეებში თეატრებში იარონ და სამკითხველოდან წიგნები თავიანთი სურვილისამებრ გაიტანონ.

**მავნებელი წრეები.** სახალხო განათლების სამინისტრომ მავნებლათ და ზედმეტათ სცნო თვით-განვითარების და თვითდახმარების წრეები, რომელნიც გიმნაზიებში და რეალურ სასწავლებლებში არსებობენ.

**აფეთქება.** შლისელბურგის მაზრაში ვინერის თოფის წამლის ქარხანაში საშინელი აფეთქება მოხდა. აფეთქების გამო დაიქცა მთელი ქარხნის შენობა. რამდენიმე მუშა მძიმეთ დაიჭრა.

**კონდუქტორი ბებია.** 6 ნოემბერს რიგიდან პეტერბურგში მომავალ მატარებლის მეორე კლასში მშობიარობიდან განთავისუფლდა ვინმე ზ—ცერი. ვინაიდან მატარებელში არც ბებია ქალი და არც ისე გამოცდილი მანდილოსანი არ აღმოჩნდა, ბებია ქალის როლი შეასრულა მოხუცებულმა უფროსმა კონდუქტორმა.

## საზღვარ-გარეთ

**გაფიცვა შვეციაში.** შვეციაში მომხდარმა გაფიცვამ მუშებს და მრეწველობას დიდი ზარალი მიაყენა. რამდენიმე ასეულმა მუშამ გადასწყვიტა სამუშაოს საშოვნათ ამერიკაში გადასახლებულიყო. ამ გვარათ, შვეციას დიდ ძალი სასარგებლო და ჯანმრთელი მუშები აკლდებოდა. ამ გარემოებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია შვეციაში. საზოგადოებამ სერიოზული ყურადღება მიაქცია მუშების გაჭირვებულ მდგომარეობას. ემიგრაციასთან (გადასახლება) მებრძოლმა ასოციაციამ საზოგადოების, პრესის და მთავრობის დახმარებით მხურვალე მონაწილეობა მიიღო უმუშევრათ დარჩენილთა მდგომარეობაში. მუშებს დაურიგეს თავისუფალი მიწები და საჭირო ფულიც მისცეს სამეურნეო იარაღების შესაძენათ. ფული მუშებს ეძლევა მთავრობისაგან და კერძო ქველმოქმედთა შემოწირულებიდან სესხათ ძალიან მცირე სარგებლით.

**ბიუჯეტის გარშემო.** ინგლისის პოლიტიკური წრეები ლორდებისა და თემებს შორის ატეხილ ბრძოლისათვის ემზადებიან. ინგლისური გაზეთები სავსეა წერილებით, განცხადებებით და მოწოდებებით, რომელიც ინგლისის თანამედროვე მდგომარეობას შეეხება.

**„წითელი“ წიგნი** ავსტრიის მთავრობამ განაცხადა, ახლო მომავალში „წითელ“ წიგნს გამოვაქვეყნებ, რომელშიაც მოთავსებული იქნება დოკუმენტები ბოსნია-გერცოგოვინის ანექსიის შესახებ.

**ირლანდიელების პოზიცია.** ბიუჯეტის გამო ატეხილ ბრძოლაში ირლანდიელები ლორდების წინააღმდეგ მოქმედებას აპირობენ. ირლანდიელ ნაციონალისტთა ბელადმა დჟონ რედმონდმა 4 ნოემბერს სათემო პალატაში განაცხადა, რომ ლორდთა პალატა მოსისხლე მტერია ირლანდიელების. შემდეგ რედმონდმა აღნიშნა ის სარგებლობა, რომლის მოტანაც შეუძლია ლიბერალური მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტებს და განაცხადა: დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ირლანდიის პარტია მედგრათ დაუჭერს მხარს იმ კამპანიას, რომელიც მიმართული იქნება ლორდთა პალატის წინააღმდეგო.

**რანსიმანის აზრი ბიუჯეტზე.** 4 ნოემბერს საჯარო კრებაზე ინგლისის სახალხო განათლების მინისტრმა ვალტერ რანსიმანმა სთქვა: მე საქვეყნოთ ვაცხადებ მთავრობის სახელით, რომ ლორდებთან არავითარი მოლაპარაკების გამართვა არა გვსურს ბიუჯეტის შესახებ. სათემო პალატისაგან შემუშავებული საფინანსო კანონ-პროექტი ისე უნდა დარჩეს, როგორც არის. ჩვენ კატეგორიულათ უარს ვაცხადებთ კანონ-პროექტის რომელიმე მუხლის გამოკლების ან შეცვლის შესახებ. ლორდებს უფლება არა აქვთ ფინანსიური კანონ-პროექტები უარყონ. მხოლოდ სათემო პალატას შეუძლია მოსპოს ან ახლათ შემოიღოს ესა თუ ის გადასახადები“-ო.

---

## პირობითი დასჯა

ამას წინათ სახ. დუმამ მიიღო კანონ-პროექტი პირობითი დასჯის შესახებ. ეს კითხვა ჩვენ იმდენათ გამოურკვევლათ მიგვაჩნია ფართო მასსისათვის, რომ გვსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მის შესახებ.

რაში მდგომარეობს პირობითი დასჯის წესი? როგორია მისი მნიშვნელობა?

პირობითი დასჯის წესი ორგვარია: 1) ერთს ეწოდება მასაჩუზეტის პირობითი დასჯის წესი, რომელიც შემოღებულია 1887 წლიდან ინგლისში. ამ წესის თანახმათ, როდესაც ვინმე დანაშაულობას ჩაიდენს, რომლისთვისაც მას ორ წლამდე ციხე მოელის, და თუ დამნაშავე წინათ პასუხისგებაში არ ყოფილა მიცემული რაიმე დანაშაულობისათვის, სასამართლოს შეუძლია დამნაშავე სრულიად გაანთავისუფლოს, მხოლოდ მას ხელწერილს ჩამოართმევს, რომ მომავალში ყოფა-ქცევას გაისწორებს და დანიშნულ ვადაზე სასამართლოში გამოცხადდება, რომ სასამართლოს განაჩენი მოისმინოს. ამ ხნის განმავლობაში პირობით განთავისუფლებულ დამნაშავეს ყავს განსაკუთრებული თანამდებობის პირნი, რომელნიც ვალდებულნი არიან მას თვალ-ყური ადევნონ. ამ პირებს ირჩევენ სხვადასხვა საზოგადოებების წევრებიდან, ნიშნავს სასამართლო და ისინი უსასყიდლოთ ეწევიან თავიანთ ძნელი მოვალეობის შესრულებას.

2) არის კიდევ მეორე წესი პირობით დასჯისა, რომელიც პირველისაგან მითი განირჩევა, რომ სასამართლო დამნაშავეს ასამართლებს და განაჩენიც მაშინვე გამოაქვს, მხოლოდ ადგენს, რომ განაჩენი განსაზღვრული ვადის (5 წელი) განმავლობაში სისრულეში არ იქნას მოყვანილი. თუ ამ ხნის განმავლობაში დამნაშავე გასწორდება და ახალ დანაშაულობას არ ჩაიდენს, სასამართლოს განაჩენი ისპობა და სასჯელის მოხდაც, რასაკვირველია, სისრულეში არ მოდის. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეს ორმაგი სასჯელი მოელის ძველი ცოდვისთვისაც და ახალისთვისაც ერთათ. პირობითი დასჯა ბელგიაში შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ პირთა შესახებ, რომელთაც დატუსაღება მოელით არა უმეტეს 6 თვისა. აქ განსაკუთრებულ მიჩენილ პირებს ადგილი არა აქვთ.

ასეთივე პირობითი დასჯის წესი შემოღებულია საფრანგეთშიაც 1891 წლიდან ზოგიერთი მცირე განსხვავებით. დუმის მიერ მიღებულ პირობითი დასჯის კანონ-პროექტს საფუძვლათ დაედო ბელგიაში შემოღებული წესი პირობითი დასჯისა. სასამართლო არჩევს საქმეს, ადგენს განაჩენს, დარიგებას აძლევს დამნაშავეს და პირობით განსაზღვრულ დრომდე განაჩენი სისრულეში არ მოყავს. პირობითი დასჯის წესი შეეხება იმ პირთ, რომელნიც 500 მანეთით არიან დაჯარიმებულნი ან და ერთი წლისა და ოთხი თვის ზევით ციხე არ აქვთ გადაწყვეტილი. პირობითი დასჯა ამ განსაზღვრულ ფარგლებში პოლიტიკურ დამნაშავეებზედაც ვრცელდება ისე, როგორც ლიტერატურულ საქმეებზე და სხვა. მხოლოდ ამ წესის ამა თუ იმ პირის შესახებ გამოყენება დამოკიდებული იქნება სასამართლოს ნებაყოფლობაზე. ასე რომ სასამართლო ყოველ ადგილას და ყოველ დროს კი არ მიმართავს ამ დასჯის წესს, არამედ როდესაც ამას თვითონ სცნობს საჭიროთ.

თუ რამდენათ მნიშვნელოვანია პირობითი დასჯის შემოღება, ამას ნათლათ მოწმობენ ის ქვეყნები, სადაც ამგვარი დასჯის წესი უკვე კარგა ხანია რაც არსებობს. ინგლისის შესახებ შეკრებილი სტატისტიკური ცნობები მოწმობენ, რომ ჩვეულებრივი წესით დასჯილ პირთაგან ერთი წლის განმავლობაში 30% ისევ უბრუნდება ციხეს. ამავე დროს პირობითი წესით დასჯილთაგან ინგლისში ხელახლა სჩადის დანაშაულობას მხოლოდ 8%. ბელგიაში და საფრანგეთში კი მხოლოდ ოთხი პროცენტი.

განსხვავება დიდია, როგორც ხედავთ, რაც აუცილებლათ აშკარათ მოწმობს პირობითი დასჯის წესის მნიშვნელობას. ამ დასჯის წესს ევროპაზე მეტი სარგებლობა რუსეთში შეუძლია მოიტანოს, სადაც მცირე დამნაშავეთა რიცხვი ძალიან დიდია. ეს რიცხვი უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში იზრდება. სწორეთ ამ გარემოებამ აიძულა იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ 1903 წელს შეემუშავებია კანონ-პროექტი რუსეთში პირობითი დასჯის შემოღების შესახებ, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ შესწორება-დამატებით მხოლოდ 1909 წელს ელირსა დუმაში განხილვას.

---

## ახალი ამბები

**თფილისის ტრამვაი.** ტრამვაის დირექციამ 10 ნოემბერს სახელოსნოს მუშებს ჩვეულებრივ ნორმაზე ნახევარი დღით ადრე აალებინა ხელი სამუშაოზე და უბრძანა სახელოსნო გაესუფთავებიათ. მუშებმა დირექციის ბრძანება არ აასრულეს, ვინაიდან ხელოსნების მოვალეობას არ შეადგენს სახელოსნოს დაგვა-დასუფთავებაო. დირექციამ ამის გამო ერთი ხელოსანი-მუშა დაითხოვა. დათხოვნილმა მუშამ საქარხნო ინსპექტორთან განასაჩივრა დირექციის უკანონო მოქმედება და 14 ნოემბერს საქარხნო ინსპექტორმა გამოძიების შემდეგ დირექციის მოქმედება უკანონოთ სცნო და წინადადება მისცა დირექციას: თუ ამიერიდან კიდევ დაარღვევთ საგუბერნიო საქარხნო საკრებულოს მიერ დამტკიცებულ წესებს, რომელიც ლებონმა და სახელოსნოს მუშების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს, იძულებული ვიქნები დაგაჯარიმოო. დათხოვნილ მუშას კი უნდა მისცეთ ხუთი თვის ჯამაგირი ჯილდოთ, თანახმათ შემუშავებული წესისაო.

◆ **„ვაკეს მიდამოები“.** ამ ბოლო დროს ქალაქის გამგეობა ენერგიულ ზომებს ღებულობს მიდამო „ვაკეს“ გასაუმჯობესებლათ, რისთვისაც გამგეობამ 30,000 მან. შეიტანა 1910 წლ. ხარჯთ-აღრიცხვაში. ქალაქის შენობაში დღეს „ვაკეს“ 55 სახლის მეპატრონე შეიკრიბება, რომელნიც აირჩევენ კომიტეტს ამ საქმის დასამთავრებლათ.

◆ **კავკასიის სამეურნეო სიეზდი** გაიხსნება სამეურნეო საზოგადოების შენობაში დღეს 1 საათზე.

◆ **შუამდგომლობანი.** ამ ბოლო დროს წ. კ. გამ. საზოგადოების გამგეობაში კავკასიის სხვა და სხვა ადგილებიდან განცხადებები შემოდის სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსების შესახებ. გამგეობა უმთავრესათ აკმაყოფილებს ასეთ თხოვნებს.

◆ **კრება დახურულ კარებში.** ქუთაისის სადეპუტატო საკრებულოში მეორეჯერ მოხდა დახურულ კარებში აზნაურების კერძო თათბირი შესახებ ერობის შემოღებისა. კრებაზე დასწრების ნება ეხლაც არ მისცეს პრესის წარმომადგენელთ.

◆ **„წარმომადგენების მომწყობ ახალ წრის“** კრება მოხდება დღეს თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შენობაში; კრება ახალ წესდებას გაარჩევს.

◆ **ექსკურსია ქუთაისიდან თფილისადმე.** დღეს საექსკურსიოთ ქუთაისიდან გამოვლენ კლასიკურ გიმნაზიის და რეალური სასწავლებლის უფროსი კლასების მოსწავლეები თავიანთ დირექტორებით და მასწავლებლებით. საექსკურსიოთ თფილისში წამოსვლას აპირებენ ქუთ. ქართულ გიმნაზიის მოსწავლეებიც.

◆ **შუამდგომლობა.** ჭიათურიდან გვწერენ, რომ იქ შავი ქვის მრეწველთ თხოვნით მიუმართავთ ამ კავ-რკინის გზის უფროსის თანაშემწე ა. პ. სოლოვიოვისათვის, რათა მან განკარგულება მოახდინოს მატარებლის მიმოსვლის შეცვლისა ჭიათურაში, სადაც სამგზავრო მატარებელი ნაშუადამევის 2 ს. მიდის, რაც ძალიან უხერხულია მგზავრთათვის. სასურველია სამგზავრო მატარებელი თფილისიდან მომავალ საფოსტო მატარებელს უხვდებოდეს, რომ აქ გაზეთებს და კორესპონდენციებს თავთავის დროზე ვღებულობდეთო, გარდა ამისა, ითხოვეს, რომ მატ. მიმოსვლა ქართულ გაზეთებშიაც იბეჭდებოდეს ქართულ ენაზედაო. სოლოვიოვმა თხოვნის შესრულება აღუთქვა მათ, ხოლო მიმოსვლის ქართულათ დასტამბვა შეუძლებლათ სცნო.

◆ **რედაქციამ მიიღო** „ალიონის“ გამოცემა ა. ბოგდანოვის „მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა“, ავტორის სურათით, მისივე წინასიტყვაობით და ბიოგრაფიული ცნობებით, აგრეთვე შ.-ს. წინასიტყვაობით. წიგნი სუფთა გამოცემულია და შეიცავს 570 გვერდს. წიგნის ბოლოში ჩართული აქვს 320-მდე უცხო სიტყვათა ახსნა.

◆ **ცნობა, ვითომც** ქალაქის გამგეობის მდივანი ი. დანდუროვი საბჭოს მდივნის ადგილის მისაღებათ ყუთს იდგამდეს, მართალი არ არის.

◆ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილ იქნება ახალი პიესა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობიდან პ. ალექსიშვილისა (პ. გოთუასი) „ჭარტიის კაცი“?! სცენები 4 მოქმედებათ. 1 მოქ. „პროპაგანდისტი“, 2 მოქ. „მიტინგზე, 3 მოქ. წითელი რაზმი“, 4 მოქ. „გასამართლება“ მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

◆ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** გუბერნატორმა ნება დართო ქ-ნ რუდოლფს წარმოდგენა გამართოს სახაზინო თეატრში ქალთა უმაღლესი კურსების სასარგებლოთ.

◆ **ებრაელ ვაჭრებმა** თხოვნით მიმართეს თფილისის გუბერნატორს, რომ მან ნება დართოს მათ კვირაობით ვაჭრობისა, დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე.

◆ **სამეურნეო სიეზდის მომწყობ ბიუროში** დღემდე 18 მოხსენება შემოსულა სიეზდზე წასაკითხათ.

◆ **ალბომი.** ქალაქის გამგეობას დაუდგენია ალბომი გამოსცეს ქალაქის სხვა დასხვა ადგილების და ძეგლების სურათებისა. ამ საქმის მოწყობა ინჟენერ აბელოვს მიენდო.

◆ **მოხსენება.** კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრი პ. დოლუხანოვი ახლო მომავალში მოხსენებას წაიკითხავს „ლიტერატურულ უფლებაზე“.

◆ **სასამართლო.** 9 ნოემბერს თფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა მაძებარი პოლიციელის ვ. ი. მაჩინსკის საქმე, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავეთ იცნო მაჩინსკი და სამსახურიდან დათხოვა მიუსაჯა.

◆ **„ახალი ისრაილი“.** სოხუმის ეპისკოპოსი დიმიტრი თხოვნით მიმართავს უმთავრეს საეკლესიო მთავრობას, რათა ჩერნომორის გუბერნიაში მართლმადიდებელი მისიონერი გაიგზავნოს, რადგან აქ ამ ბოლო დროს ახალ სექტის — „ახალი ისრაილის“ მქადაგებელნი მრავლდებიანო.

◆ **ჭიათურიდან** გვატყობინებენ: ამ ბოლო დროს აქედან შავი ქვის გაზიდვა ძლიერდება. შავი ქვის მრეწველთა ერთ ჯგუფს თხოვნით მიუმართავს რკინის გზების უფროსისათვის, რათა მათ ვაგონები მიეცენ შავი ქვის გასაზიდავათ.

◆ **ქალაქის შემოსავალი.** ამ წლის 1 იანვრიდან 31 ოქტომბრამდე ქალაქის კასაში შესულა სულ 1,205,453 მ. ე. ი. 130,000 მ. მეტი შარშანდელ შემოსავალთან შედარებით.

---

ცმა, რომ ამაში მას ტოლიც არავინა ჰყავს. — ყმაწვილი წავიდა თავის ოთახში, გაგორდა ტახტზე, დაიწყო ფიქრი სიყვარულზე და მალე კიდეც ჩაეძინა.

დაღამდა. ბადრი მთვარე მედიდურათ ამოგორდა ლაჟვარდ ცაზე. ბულბული მიფრინდა ვარდის ბუჩქნართან და მაგრათ გულმკერდით გადაეკონა მის წვეტიან ეკლებს და ტკბილათ დაჰკვნესა. მთელ ღამეს გალობდა ბულბული და მთვარეც კი ყურს უგდებდა მის დიად გალობას. რამდენათ ბულბული თავ-დავიწყებით სტვენდა და ეკონებოდა ბუჩქნარს, იმდენათ ვარდის ეკლები მის გულში ღრმათ ესობოდენ და სიცოცხლეს უსპობდენ საბრალო ჩიტუნას.

პირველათ ბულბული გალობდა იმაზე, თუ როგორ იბადება სიყვარული ახალგაზრდა ქალ-ვაჟის გულში. ამ დროს ბუჩქნარის წვერზე გამოჩნდა კოკორი და აყვავდა ვარდი, მაგრამ ის იყო ფერმკრთალი, ვით სისხლ-დაცლილი ადამიანი. — „მაგრათ ჩამეკონე, გეთაყვა, მაგრათ, თორემ საცაა დილა მოაღწევს და ვარდი კი მზათ არ იქნება“ — შესძახა ბუჩქნარმა ბულბულს. ბულბულიც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიეკრა ეკალს და უფრო და უფრო მაღალ ხმაზე მორთო გალობა. ის ეხლა უგალობდა შეყვარებულთ გულის ნდომის გამოფხიზლებას... ნაზი სიწითლე გადაეფარა ვარდის ფოთოლს. ეკლის წვერები ჯერ კიდევ არ მიღწეულიყო ჩიტუნას გულამდი და ამიტომ ვარდის გული ჯერ კიდევ თეთრი იყო. მარტო ბულბულის გულიდან გადმონათხეულ სისხლს შეეძლო მისი გაწითლება, მეტს არაფერს. „მაგრათ, მაგრათ პაწაწა ბულბულო, — შესძახა ბუჩქნარმა, თორემ დილა ახლოვდება.

ბულბული კიდევ უფრო მაგრათ ჩაეკონა ეკალს და ეკლის წვერებმაც მიაღწიეს მის გულამდის, რამაც საშინელი ტკივილები აგრძნობინა საბრალო ჩიტუნას. მიუხედავათ იმისა, რომ ბულბული გამოუთქმელ ტკივილებს გრძნობდა, მისი სიმღერა უფრო და უფრო ხმა-მაღლა გაისმოდა. ის ეხლა უგალობდა იმ სიყვარულს, რომელსაც ვერავითარი სიკვდილი ვერ შეარყევს და ვერ შესცვლის, ის უგალობდა იმ სიყვარულს, რომელიც საფლავშიაც არ კვდება... ვარდს სისხლის ფერი გადაკრა. ბულბულის ხმა თანდათან მისუსტდა, პაწია ფრთები დაუმძიმდა, თვალთ დაუბნელდა, ერთი კიდევ უკანასკნელათ დაჰკვნესა და სამუდამოთ დახუჭა თვალები. ბულბულის საუცხოვო გალობით გატაცებულ მთვარეს კიდეც შემოათენდა. წითელ ვარდს მეტის-მეტი სიხარულით ფოთლები გაეშალა და დილის ნიავს მისი კეთილსურნელება აქეთ-იქით მიმოქონდა.

— „შეხედე, შეხედე!“ — წამოიძახა ვარდის ბუჩქნარმა, ხედავთ, წითელი ვარდიც მზათ არის! ბულბული კი სდუმდა, ის უკვე მკვდარი იყო, მას აღარაფერი ესმოდა.

შუადღეა. სტუდენტმა სარკმელი გააღო და ბაღში გადაიხედა.

— წითელი ვარდი! წითელი ვარდი! — გიჟივით წამოიძახა მან. — მე ამის მსგავსი ჩემს სიცოცხლეში არაფერი მინახავს. ეს რა ბედნიერებაა ჩემს თავს. ის გადმოიწია ფანჯრიდან, მოსწყვიტა ვარდი, წაავლო ქუდს ხელი და პროფესორის სახლისაკენ მოჰკუსლა. პროფესორის ასული ბაღის კარებთან იჯდა და აბრეშუმის ძაფს ართავდა. მისი პატარა ფინია კი მის ფეხებთან წამოწოლილიყო. — „თქვენ დამპირდით, რომ ჩემთან იცეკვებთ თუ მოგიძღვნით წითელ ვარდს; აი ინებეთ წითელი ვარდი, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყანას არც კი უხილავს. გაიკეთეთ ეს ვარდი დღეს საღამოს თქვენს გულზე და როცა ჩვენ ერთათ ვითამაშებთ, მაშინ ეს ვარდი გეტყვის თუ რა გაგიჟებით მიყვარხართ თქვენ“, სიხარულით შესძახა სტუდენტმა. ქალიშვილმა უსიამოვნოთ შეხედა ყმაწვილს და მიუგო: „ვგონებ, ეს ვარდი არ მოუხდება ჩემს ტანისამოსს, მე კაშერგერის ძმისწულმა ალმასების თვლიანი სამკაულები გამომიგზავნა გულზე დასაბნევათ და ყველასათვის ადვილი გასაგები უნდა იყოს, რომ ძვირფასი ქვები ყოველგვარ ყვავილებს სჯობია.“

სტუდენტი სახტათ დარჩა. უმადურობა! გაცეცხლებული წარმოსთქვა სტუდენტმა და ქუჩაში გადაისროლა ვარდი, რომელზედაც ეტლის ბორბლებმა გადიარეს და გასრისეს.

— სცდებით! მიუგო ქალიშვილმა, — იცით რა უნდა გითხრათ? თქვენ ერთობ თავხედი ყოფილხართ! გეტყობათ და ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ მხოლოდ სტუდენტი ხართ და მეტი არაფერი, — თქვენ არც ტემლაკები გაქვთ და არც ბჭყვიალა ღეზ-ფოლაქები, როგორც ეს აი კაშერგერის ძმისწულს აქვს ხოლმე“. ქალიშვილი ადგა და წავიდა თავის ოთახში.

„რა სისულელეა სიყვარული“ ჩაილაპარაკა სტუდენტმა წასვლის დროს. ის არც ისე ძვირფასია, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, ის ლოღიკის ნახევარ ფასადაც კი არა ღირს, ის ხშირათ ისეთ რამეზე გაფიქრებინებს, რაც არას დროს არ განხორციელდება; — ამიტომ უმჯობესია მე ისევ ფილოსოფიას და მეტაფიზიკას დავუბრუნდე.

სტუდენტი დაბრუნდა თავის ოჯახში, გამოიღო დამტვერიანებული დიდი წიგნი და დაიწყო მისი კითხვა.

გ. მასხულია.

◆ **ლექცია ლ. ანდრეევის ახალ თხზულებებზე.** 24 ნოემბერს ა. ხატისოვი „არტისტიული საზოგადოების“ თეატრში ლექციას წაიკითხავს ლ. ანდრეევის ახალ თხზულებებზე „ანფისა“ და „ანათემაზე“.

◆ **სასოფლო ბანკი.** შორაპნის მაზრის ს. ბერდში სასოფლო ბანკი დაუარსებიათ.

◆ **ქურდობა.** არ. მატინიანცის წიგნის მაღაზიიდან პოლიცის ცნობით მოუპარავთ 250 მ. ღირებული სხვადასხვა ქაღალდები. ეჭვით დააპატიმრეს თფილ. გუბ. მცხოვრები ცხვედაძე, რომელიც ქურდობაში გამოტყდა.

◆ **შეპყრობა.** 10 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიულათ გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული ნ. ნაცვლიშვილი, რომელსაც სამართალში აძლევენ.

◆ **სალდათის შეპყრობა.** 13 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა არ. მაღალოვი, რომელიც ორი წელიწადია სალდათობას ემალებოდა.

◆ **რედაქციამ მიიღო** ჟურნალ „ნაკადულის“ ნოემბრის ორი წიგნი—საბავშო და მოზრდილთათვის. წიგნები ჩვეულებრივათ შინაარსიანია და სუფთათაა გამოცემული.

—

**შეცდომის გასწორება.** იკას წერილში—„სასამართლოს რეფორმა“ სწერია: მხოლოდ მოვკრი, უნდა იყოს: მოკლეთ მოვკრი.

# პროვინცია

—

**ჭიათურა** (იმერეთი). ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან იმატა შავი ქვის გაზიდვამ ჭიათურიდან. მადნებიდან გადმოზიდვა თვით ჭიათურაში კი ნაკლებია ცუდი ამინდების გამო, რაიცა ხელს უშლის მეურმე-ჩალვადართა მუშაობას, ქვის ფასები ისევ ის არის, რაც ზაფხულში იყო, თუმცა-და ეხლა ქვის დამუშავება და გადმოზიდვა გაცილებით მეტი უჯდება მრეწველთ, ვიდრე ეს ზაფხულში, მაგრამ ფასს მაინც არ უმატებენ ექსპორტიორნი. წვრილ მრეწველთა ასოციაციის უკანასკნელმა კრებამ გადასწყვიტა იარსებოს ასოციაციამ, რადგან ამას ასე თუ ისე სარგებლობა მოაქვს წვრილ მწარმოებლებისათვის. კრებამ აირჩია ბიუროს წევრებათ ხამი ახალი პირი. ამ კრებაზე ზოგიერთი წევრები მოითხოვდენ ასოციაციის გაუქმებას. თან იმასაც ამტკიცებდენ, რომ ვითომ ეს არ იყოს პროფესიონალური კავშირი წვრილი მრეწველებისა და სხვა, მაგრამ კრებამ დიდი ხმის უმეტესობით უარყო ასეთი წინადადება. საკვირველია ის, რომ ასეთ დროს წვრილ მრეწველთ, რომლებიც ჭიათურაში 500 კაცამდე აქვთ შეკრების უფლება, ყველა იმ კითხვებზე მსჯელობა და გადაჭრა, რომელიც კი მათ შეეხება. აგრეთვე წესდების ძალით სასამართლოს, რიგის შესრულებაც და სხვა. ამის სარგებლობა ვერ გაიგეს ზოგიერთებს და მოითხოვდენ მის დაყვავებას. შეიძლება ასოციაცია თავისი ამსრულებელი ორგანოთი (ბიურო) სუსტათ მოქმედებდეს, ამაში უმეტესათ თვით მრეწველნი არიან დამნაშავე, რადგან გულგრილათ უცქერიან კავშირს და კრებაზე არ ესწრებიან.

— 9 ნოემბერს ჭიათურას ეწვია კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი. მან ინახულა ჭიათურის ექვს-კლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი და ქალთა კერძო პროგიმნაზია. როგორც გადმოგვცეს, ის კმაყოფილი დარჩა ხსენებულ სკოლების. მეორე დღეს ბ-ნი მზრუნველი გაემგზავრა დ. საჩხერეში, ჭიათურაში მას პურ-მარილით დაუხვდენ.

— ამ ერთი თვის წინათ დაპატიმრებულნი ი. გარაზაშვილი და სამოქალაქო სკოლის მასწავლებელი გ. ჭუმბურიძე ჯერ კიდევ არ განუთავისუფლებიათ. **გიზო.**

## სახალხო მუსიკალური საზოგადოება

—

ზუბალაშვილების სახალხო სახლთან დაარსდა „სახალხო მუსიკალური საზოგადოება“. ამ საზოგადოებამ თავისი პირველი საღამო სახალხო სახლში გამართა 13 ნოემბერს ცნობილ კომპოზიტორის ჩაიკოვსკის სახსოვრათ. სცენაზე დადგმული იყო ჩაიკოვსკის ბიუსტი მშვენივრათ მორთული გვირგვინებით და ელექტრონის ფერადი სინათლეებით აბრჭყვიალებული. პირველათ ბ. ტერ-დავიდოვმა გააცნო საზოგადოებას „სახალხო მუსიკალური საზოგადოების“ მიზანი და მისი სამოქმედო გეგმა. „Чѣмъ хуже живется, тѣмъ больше поется“ სთქვა პოეტმაო—დაიწყო თავისი სიტყვა ბ. ტერ-დავიდოვმა. რა კი ეს ასეა, საჭიროა ვიცოდეთ ვინ ცხოვრობს გაჭირებაში? ხალხი—უპასუხებს თვითონ. აი ამ ხალხის სამსახურს ისახავს მიზნათ ჩვენი საზოგადოება. ჩვენ შევადგინეთ საზოგადოები, რომელიც არ დაიშურებს პირად შრომას და ენერგიას, რომ საზოგადოებას შეუძლებელ, ულარიბეს ნაწილის მოთხოვნილება შეძლების და გვარათ დაუკმაყოფილოთ. რასაკვირველია, ჩვენი ძალები სუსტია, კასაც ცარიელი გვაქვს, მაგრამ ჩვენ გვამხნევებს იმედი, საზოგადოების თანაგრძნობა და მათი დახმარებისათვის გამოწვდილი ხელი კიდევაც მიგვაღწევიებს მიზანს. ჩვენ მივმართავთ ყველას დაგვეხმარონ რითაც შეუძლიათ, რომ პირ ნათლათ შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა ხალხის წინაშე. მალე მოხდება საზოგადოების საზოგადო კრება. ჩაეწერეთ წევრათ და ერთად ხელის-ხელ ჩაკიდებით ვიმუშაოთ. წევრათ ჩაწერა ყველას შეუძლია, რადგან საწევრო ფული შედარებით მცირეა, სულ ერთი მანეთი წელიწადში (თურმე შესაძლებელი ყოფილა წესდებაში საწევრო ფულის ერთი მანეთით განსაზღვრა! მარა შეიძლება ახლათ დარსებული ქართული წრისათვის არის მოგონილი 3 მანეთი! მით უმეტეს საჭიროა რაც შეიძლება მეტი წევრი, მეტი დახმარება, რომ ჩვენ მალე შევუდგებით უფასო კურსების გახსნას, სადაც მსურველთ შეუძლიათ მუქთათ შეისწავლონ მუსიკა, აგრეთვე განზრახვა გვაქვს დავაარსოთ კონსერვატორია და სხვა. ბ. ტერ-დავიდოვი დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დაჯილდოვა. შემდეგ ბ. მაქსიმოვმა წაიკითხა ლექცია ჩაიკოვსკიზე. მეორე მოქმედებაში რიგიანათ შესრულებულ იქნა რამდენიმე რომანსი და არია ცნობილ ოპერებიდან მშვენივრათ უკრავდა სიმებიანი ორკესტრი ბ. ბ. ფალიაშვილის და ვინჩეკოს ხელმძღვანელობით. კარგათ შესრულდა არია „პიკ. დამიდან“ ბ. ცხომელიძემ, დუეტი ქ. ქ. ნიკოლაევამ და მარცინკევიჩმა და სხვა. დაბოლოს ხორომ და ორკესტრმა ბ ფალიაშვილის დირიჟორობით მშვენივრათ შეარულეს რამდენიმე ადგილი „პიკოვაია დამიდან“. საზოგადოებამ მეტათ ნასიამოვნები დარჩა და მეორეთ გაამეორეზის. ამ რიგათ, კონცერტმა საკმაო რიგიანათ ჩაიარა და საზოგადოება მადლიერი დარჩა. 27 ნოემბერს საზოგადოება დგამს ოპერას „ევგენი ონეგინს“. ამზადებენ „რიგოლეტოს“, „სევილ. დალ.“ „ტრავიატას“ და სხვა.

ეს საზოგადოება ღირსია მხურვალე თანამგრძნობის, დამხმარების ხელის შეწყობის. თფილისში ოპერები მხოლოდ სახაზინო თეატრში იმართება, სადაც ისეთი ძვირი ფასებია ბილეთებზე, რომ მხოლოდ ზოგიერთებისათვის არის ხელმოსაწდომი. აქ კი ფასები ძალიან დაკლებულია—5 კაპ.—80 კაპეიკამდე. რასაკვირველია, ახლათ დარსებულ საზოგადოებას პირველათ არ ეყოლება ისეთი ძალები, რომლებიც შესძლებენ ხელოვნების ხმების და სხვა სასცენო მოწყობილობის მხრით გვერდში ამოუდგენ სახაზინო თეატრს, მარა როგორც სჩანს, არც თუ ისე ურიგო ხმების პატრონი სცენის მოყვარეებია დასში; სამწუხაროთ, ამ პირველ საღამოზე ძალიან ცოტა, თითქმის სულ არ ყოფილა საზოგადოების ის ნაწილი, რომლისათვისაც განსაკუთრებით დაარსებულია ეს საზოგადოება, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ როცა გაიგებენ საქმის შინარსს ისინი ისეთივე ბეჯითი მსმენელები გახდებიან სახალხო ოპერების, როგორც სახალხო ქართული წარმოდგენების.

ვუსურვებთ ახალ საზოგადოებას წარმატებას, აყვავავებს და თავისი მიზნის პირნათლათ სამსახურს. **№.**

## მუშა ქალთა საყურადღებოთ.

—

კარგა ხანია ჩვენი ქალები გადიან სამუშაოთ სამკერვალოებში, ქარხნებში, დღიურ სამუშაოთ და სხვა. ეს ქალები საზოგადოთ მოკლებულნი არიან ცოდნის შეძენას და განვითარებას. ჩვენ დროში ურუთ დარჩეს და გაუნებრობა ვერ გამოიყვანს ვერავის გზაზე ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

ამ აზრით მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ გამართა ამ მომუშავე ქალთათვის საღამოს კურსები, რომ მათ შეიძინონ, ცოტაოდნათ მაინც თავისუფალ დროს სწავლა და განვითარდენ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ვერაზე—სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩაზე (იზმაილოვის ქუჩის შესახვევში) № 6 ეზოში, სადაც მოთავსებულია საზოგადოება „განათლების“ სასწავლებელი, 5 საათიდან 7 საათამდის.

იმედია, ამისთანა სასარგებლო კარგ საქმეს ყველა ყურადღებას მიაქცევს და ერთმანერთ შორის გავრცელდებენ ამ სასურველი საქმის სარგებლობას. **ა. წ.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


კბილის ექიმი
**ს, ვაშაყმაძე**
დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15

კანტორა და სკლადი
**ი. ახობაძისა**
გადავიდა ნეკრასოვის ქუჩაზე, სახლი № 14 ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ.

„**კლაპოვნი**“ სპობს ბაღლინჯოებს და მათ კვერცხებს, ფასი 35 კ. საღიუბლინო პროფესორ გიუმონდისა სუსუნატისა არჩენს ძველს და ახალს. ფასი ფლ. 2 მ. 50 კ.
„**პ რ ი მ ა**“ სპობს თმის ქერწლსა და აჩერებს თმის ჩამოცვენასა, აგრეთვე ზრდის თმასა. ფასი ფლაკ. 1 მ. 20 კ.
მსურველთ ვუგზავნით ფას დადებითი. ბროშიურები უფასოთ. 30—17

სასტუმრო
„**ბორჯომი**“
[illegible]
ახლათ შეკეთებული სუფთა ოთახები ხელმისაწდომ ფასებში: დღე და ღამით 50 კ.-დან 3 მ.-დე. თვიურათ ძლიერ დაკლებულ ფასებში.
პატივისცემით მიხაილ ქოიავა და
(0—7) მგელი შერტანავა.

კახეთის მევენახე-გლეხის ღვინის დამყენებელი
გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
Товарищество крестьянскихъ кахетинскихъ виноградовладѣльцевъ
„Кахетія“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.
10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.
По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.
Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.
უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 1 | „ | — 20 к. | 16 | „ | — 3 р. |
| № 2 | „ | — 25 к. | 16 | „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 | „ | — 35 к. | 16 | „ | — 5 р. 10 к. |
| № 4 | „ | — 50 к. | 16 | „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7. Михаилу Николаевичу Кодалову.

სკლადში იმყოფება შემდეგი წამლები:
„**სპერმატინი**“
ავათმყოფებს და სუსტებს. ფლ. 2 მ. 40 კ.
„**ალმეზა**“
რომელიც აცხრობს უცბათ კბილის ტკივილს ნორმ. ფლაკ. 1 მ. 20 კ. სტოელი 40 კ.

≡ იბეჭდება და მალე გამოვა ≡
**ნიკ. ბარათაშვილის**
**სრული ლექსები**, მთელი მიწერ-მოწერით, ბიოგრაფიით და ექიმი ივ გომართელის მიერ ნიკ ბარათაშვილის პორტრეტების და პოეზიის დახასიათებით.
აქვე: ყოველგვარი ქართული წიგნები, ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები; ჩვენ მწერალთა და მსახიობთა სურათები, მრავალი კალენდრები და სხვა. მსურველთ გაეგზავნება ფას-დადებით. თფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“. (3—1)

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან
**ხელის მაშინები** 25 მანეთიდან
იყიდება იმპერიის ყველა ქალაქებში განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.
თფილისში სამი განყოფილებაა: 1) გოლოვინის პროსპექტზე; სასახლის პირდაპირ; 2) ვაგზლის ქუჩა, სახლი ენფიანჯიანცისა; 3) ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. 20—10

**პატეფონი**
დასაკრავი უნემსო პლასტინკები
ძმები პატე პარიჟში.
ქვეყანაზე საუკეთესო მოლაპარაკე მანქანა
ორკესტრიანი პლასტინკები 24 სმ., 28 სმ., და 50 სმ.

ფასები 20 მან. და ზევით.
მდიდარი რეპერტუარი ყველა ენაზე
აგრეთვე ქართულ, სომხურ და რუსულ ენაზე.
ახლათ ჩაწერილი შეუდარებელი არტისტისა დიმიტრის ასულის ვიალცევისა.
ერთად ერთი წარმომადგენელი **კარლ შუმანი** საოპტო საწყობი თფილისში, გოლოვინსკი, 10.
ამიერ კავკასიის ყველა ქალაქებში საჭიროა ანგარიშიანი აგენტები მონოპოლიური ვაჭრობის უფლებით.
ქუთაისში: ა. რ. თაბაგარი. გორში: ვ. გ. მუზაშვ. 6—2